



# კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

## პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესი

### მუხლი 1. გამოყენების სფერო

პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - სტუდენტი) წახალისების საფუძვლებს, წახალისების ფორმებს, სტუდენტთა წახალისებაზე წარდგენასა და წახალისების წესს.

### მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა წახალისება და წახალისების ფორმები

1. სანიმუშო ყოფაქცევითების, სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგებისთვის, პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წინაშე ჩადენილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქმედებისათვის წესდება პროფესიული სტუდენტის წახალისების შემდეგი ფორმები:
  - ა) მადლობის გამოცხადება;
  - ბ) წარჩინებული სტუდენტების წარმატებების გამოქვეყნება კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზე;
  - გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

- დ) წარჩინებულ სტუდენტთა/კურსდამრთავრებულთათვის რეკომენდაციების გაწევა დასაქმების მიზნით.
2. სოციალურად დაუცველი პირებისთვის წესდება წახალისების შემდეგი ფორმა:
    - ა) სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი.
  3. სტუდენტს, რომლის მიმართაც წახალისების ფორმად გამოყენებულია მადლობის გამოცხადება, გადაეცემა მადლობის სიგელი, რომლის ფორმაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
  4. საანგარიშო წლის განმავლობაში ფასიანი საჩუქრების ჯამური ღირებულება ერთ პროფესიულ სტუდენტზე არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.
  5. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა.

### **მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის წახალისების წესი**

1. სტუდენტის წახალისება ხორციელდება შემდეგი წესით:
  - ა) მადლობის გამოცხადება ან/და ფასიანი საჩუქარი, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლეჯის დირექტორის მიერ, თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის ან/და საკუთარი ინიციატივით;
  - ბ) წარჩინებული სტუდენტების წარმატებების გამოქვეყნება კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზე, ან/და წარჩინებულ სტუდენტთა/კურსდამრთავრებულთათვის რეკომენდაციების გაწევა დასაქმების მიზნით, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კოლეჯის დირექტორის მიერ, თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის ან/და საკუთარი ინიციატივით;
  - გ) სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი უწესდება თითოეულ სოციალურად დაუცველ პირს, რომელსაც მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და სწავლობს თვითდაფინანსებით.

### **მუხლი 4. სტუდენტის წახალისებაზე წარდგენა და წახალისება**

1. სტუდენტის წახალისება ხდება დირექტორისთვის სამსახურებრივი ბარათის წარდგინებით.
2. სწავლის საფასურის 10%-იანი შეღავათი ავტომატურად უწესდება თითოეულ სოციალურად დაუცველ პირს, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან წარმოადგენს ამონაწერს.
3. წახალისების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს.
4. წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენება შემდგომში არ ზღუდავს დისციპლინური გადაცდომისას სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

5. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის წახალისების შესახებ საზოგადოებას მიეწოდება კოლეჯის სტენდის/ვებ-გვერდის/Facebook გვერდის საშუალებით.

## **მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1. პროფესიულ სტუდენტთა წახალისების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.